

1943



# საბავშვო ლიტერატურა

საბავშვო ლიტერატურის  
შეკრები

მხიარული წაკითხვისათვის



0 3 5 3 5 6 0  
№ 1

F10197



324  
XI-თე უბანისაჲ

№ 1.


თბილისი, 1913 წ.



სიზმარი, — სახალწლო სურათი.


# შ ი ნ ა ა რ ს ი:

I—სიზმარი, —სახსაღწყო სურათი . . . . .	1
II—მილოცვა, —ჯექსი გ. ქუჩიშვილის . . . . .	3
III—საჩივარი, —ვაჟა-ფშაველასი . . . . .	4
IV—ვან მოვიყვანე! —სურათი . . . . .	8
V—თოვლის კაცის ოინები, —(გადმოკო. ჯექსად) ბაბი- ღინასა . . . . .	9
VI—პატარა პალიკო, —გ. თაშირაშვილის . . . . .	13
VII—სიკეთით გადაუხადა, —გ. გარიყულისა . . . . .	16
VIII—გასართობი: შარადები და რებუსი . . . . .	23






# მ ი ლ ო ც ვ ა .



მეკლე ვარ!.. კარსაგამიღეთ!  
მოვდივარ განსაჯებულნი;  
უწინამც თვალი დაძვირებს,  
თუ განხოთ ატირებულნი...




მოვალ, თან მომაქვს სალაპი,  
ახალი სული-გულითა;  
ღმერთმა გაძოროთ სიმწარე,  
ავაგსოთ ტკბილეულითა...

მოვდივარ!.. მომიხარინა!  
ვილოცავთ ხონჩა—ძღვენითა!..  
მიეგებენით ახალ წელს,  
აღივსეთ შვება-ლხენითა!..

გ. ქუჩიშვილი.





## ს ა ჩ ი ვ ა რ ი .



ვენნი ღვდლის რვა წლის ქალი თებრო გუშინ-  
წინ ქალაქიდან „სტარასტამ“ მოიყვანა ცხენით  
სამობაოდ. თებრო, თავიდან ფეხებადმის დედის  
შაღში გახვეული, ცხენზე იჯდა, ოდნავ თვალები  
უხანდა, — ციციანთელასავით მბრჭყვინავი: ისე იყო შებურ-  
ვილი. რა გაეწეობოდა: ძალიან ციოდა. თებროს მსლებელს  
ივანეს ცხენი ალღირით ხელში ეჭირა და ამრიგად თავის წო-  
წლოკინა ქუდით წინ მიუძღვებოდა.

ოცდა-ხუთი ვერს ასე გაატარა.

მშობლებმა თებრო სინარულით მიიღეს: ბევრი უაღერ-  
სეს, ბევრი ჰკოცნეს. განალებულ ბუხართან დედა მარიაძმა  
თავისი საუვარელი ქალი სუამზე დააბძანა, ვაძლები და  
ჩურჩხელები მიაერთვა. თებრო ჯერ სძას არ იღებდა.

თებრო თავის თავს დიდად ბედნიერად სთვლიდა ამ დროს.  
გულში ერთად-ერთი აზრი უტრიალებდა: ოჲ, რა კარგია თა-  
ვის შინ ყოფნა მშობლებთან. მაგრამ ეს სინარული, ნაცვლად  
იმისა, რომ სიცილით გამოეთქვა, ტირილით გამოხატა.

— რა გატირებს, — დედა კენაცვალოს? — ჰკითხავდა მარ-  
იაძი: — ხომ არაფერი გტკივა? ხომ არა გცვივა? იქნებ სა-  
ჭმელი რაზე გინდა? უკვლავფერი იქნება: შენ ოღონდ მითხარი.

მაძამ ცალკე მიუაღერსა თებროს, მაგრამ ის მინც სლუ-  
კუნებდა; მხოლოდ ჯერ-ჯერობით არაფერს ამ ამბობდა. ბო

ლოს, დიდი დაქინებისა და თხოვნის შემდეგ დედის ძხრივ,  
ძლივს ამოიღო სძა, და ისიც რის ვაინახრობით: სიტყვებს  
ნახევარს ჰქვამდა, თან თვალებს ხელით იწმენდავდა:

მას... მას... მას... წავლდე... ბელი... — როგორც იყო — გამო-  
ავნო.



— რას მასწავლებელი? სთქვი, გენაცვალე!.. კეთიხარი  
ეველაფერი.

მშობლები მიუსვდნენ თებროს გულამოსკუნით ტირილს.



— ჭოო, ამბობდა ღიმილით მამა სვიმონი: — გავიგე საქმე რაშიაც არის: ეტეობა მასწავლებელი ცუდი უნდა ჭეუანდეს თებროს. ნუღარ გავგზავნით სკოლაში, და ის იქნება.

— მაგასე ადვილი რა არის. თუ-კი ჩემი ხაუვარელი გოგონა თვალ-ცრემლიანი ივლის, ისეთი სკოლა და სწავლა რაში მეპრიანება?! — სთქვა თებროს დედაძმად...

თებრო სინარულით ცას დაეწია, რომ მშობლები ადვილად მიჭხვდნენ მის აზრს და წინააღმდეგს არაფერს ჭხედავენ. ნელ-ნელა დაიმძვიდა გული და მოჭევა მასწავლებლის ბესლობას მშობლების წინაშე.

— ძალიყ ცუდია, — სთქვა როცა დამშვიდდა თებრო: — იცი, დედი, რას გვეტევის? „ჭაი, თქვე გომბიოებოვო!“ თან თვალებს გვიბრიალებს ხოლმე. დადის, თან ჩექმებზე იცქირება; უღვაშებს თაგვის კუდივით იბსეკავს... გვლანძღავს, გვბაქავს...

მასწავლებელს ეძღურება  
და აბესლებს თებრო ქალი:  
ცდილობს, რომ მის საჩივარსა  
ჭეონებოდეს დიდი ძალი;  
არა ჭხოგავს არაფერსა  
აამღვრიოს კარგა წყალი.  
რას იტყვიან, რას ფიქრობენ? —  
მშობლებზე აქვს თებროს თვალი:  
წაიუვანენ კვლავ სკოლაში,  
თუ დარჩება იგი შინა,  
ასე თბილად, ნებიერად?  
და დედა ხომ იმისთვისა  
ხილს ინახავს მუდამ ბევრსა,  
რომ მთართვის თეფშით წინა;


თან ღმერთსა სთხოვს—აუსრულოს  
საბაძური მისი თხოვნა.

ამ დროს თებროს მიესალმა  
დიდი კატა ქურდაური,  
თებროს დიდად საუვარელი,  
ხასიათით უცნაური:

ლოყებზედა კუდს უსვამდა  
მარჯვნივ-მარცხნივ, კრუტუნითა,  
თითქოს თებროს ის ურჩევდა  
თვის ენაზე დუღუნითა:

„ღმერთს რასა სთხოვ, შე უტკუოვ;  
„შინ რა გინდა, გოგო, შენა!?  
„წადი, წადი სკოლაშია,  
„შეისწავლე დედა-ენა!“

ვაჟა-ფშაველა.



მეცნიერებანი



მთავრად — მცოდნე მთავრად მთავრად  
მთავრად მთავრად მთავრად მთავრად



ვინ მთავრად



# თოვლის კაცი თინეზი.

ბ ი ჳ ი.

დედა, დედა! ნება მომე—  
 გარედ გავალ! იცო რაღა?  
 გუშინ თოვლის კაცი დაუდგი,  
 კოსტადა და ამაყადა;  
 მინდა ვნახო, თუ იქვე დგას,  
 ხომ არსად არ გამეპარა...  
 ქუდი ჭსურავს თუნუქისა,  
 ჩიბუსი აქვს, უჭ, კმელ-ტარა!

დ ე დ ა.

მე, შე ცელქო! ძალიან გსურს  
 გარედ გასვლ? ვითომ რაო!  
 ცელქო! რას არ მოიგონებ,  
 გინდა თოვლში იბუქნაო?!  
 წადი! წადი! მხოლოდ, ბიჭო,  
 დამიბრუნდი ისევ ძალე  
 და კარებთან ეგ ფეხები


გაიწმინდე, გაიმძრავლე.  
 იცოდე-კი, გაუჯავრდები,  
 იატაკი თუ დასვარე;  
 მამ გახსოვდეს — ფეხსაწმენდი  
 რადაც კდია კართან გარე.  
 — კარგი, დედა, მამ წავალ და  
 ავასრულებ რაც მითხარი.

თოვლის კაცთან გაჩნდა ბიჭი,  
 ეუბნება: — შე საწუალო!  
 წუხელ ძალიან ციოდა,  
 გაჭეინავდა შენ უურებსო,  
 არა გიშავს, შინ წავიყვან:  
 იქ ბუნარი გუგუნებსო.  
 მამ წავიდეთ! ჭა, არ ვინდა?  
 იქა თბილა, აქ კი არა;



გაგათბობ და გაგახურებს,  
 დაგბრუნდებით ისევ ჩქარა...  
 უი, მართლა! როგორ წახვალ,  
 ფეხები რომ არ გაბია?

მე ავიუვან, აი, ასე,  
 ვითომა ვარ შენი მია.  
 ბიჭო, ქაჯან! რა მძიმე ხარ?  
 ნუ, ძალიან ნუ მსწვები!  
 ლამის თოვლში ჩავთბალო!  
 რა მძიმე ხარ... ვაი, ვუკვდები!  
 მოველ სახლში! ვმადლობ ღმერთსა.  
 ახლა ფიქრით აღარ არი...  
 აქ დაჯექი, კარგად გათბი:  
 ეს ცეცხლი და ეს ბუნარი.



გაუნარდა თოვლის კაცსა,  
 ცეცხლს ბუნარში გაუცინა;  
 ცხვირი დაუპატარავდა,  
 მოედრიკა თავი წინა.  
 — მეგობარო, თოვლის კაცო,  
 ხომ კარგია ცეცხლის ალი?  
 ჭია, კინალამ დამაფიწუდა,  
 ფეხი უნდა მქონდეს მშრალი...  
 აჭა, აჭა! ეს ფეხებიც,  
 მთლად გამწრა და გაიწმინდა;

უგელაფერი წესრიგზეა;  
შენც გათბები, სხვა რა გინდა?  
უნახოთ ახლა — ამ ოთახში  
შემოაღო დედამ კარი;



რასა ჭხედავს, რას უეურებს?  
იძახის თუ: „ეს რა არი?“  
— ეს რა გუბე წამოდგარა?  
ძოლად სველია იატაკი!“

ბ ი ჳ ი .

— შე რა ვიცი! როგორც მითხარ,  
კაფიწმინდე ფეხი აკი...

ცეცხლზე დადნა თოჯლის კაცი;  
ეს ამბავი ასე მოხდა.  
ამ ადგილზე დარჩა მხოლოდ,  
ჩიბუხი და ქუდი კონტა...

ბ. ბაბილინა.



# პატარა პალიკო.

(სურათი).

1

**თ**ოვლი ნელ-ნელა მოდიოდა. პატარა ფიფქები მიწაზე ბამბასავით დინჯად იწებებოდა და ერთმანეთში აურ-საურით ირეოდა.

საღამო ქამს, ზედ შობის საღამოსას, იმ ფანჯრის მინასთან, საიდანაც პატარა პალიკო იუურობოდა, ფიფქებმა, თოვლის ფიფქებმა, ალიაქოთი ასტყესეს; გამწარებით ესეთქებოდნენ ფანჯრის მინას, თითქო შინ შესვლას ლამობდნენ, რომ პალიკოსთან ლახლანდრობით თავი გაერთოთ.

— ნელა, ნელა, — უვიროდა, ეველასე პატარა, — ცხვირპირი ჩამქებოდა, თქვე ურჯულოებო; ლამის გამსრისოთ!

— მოძეკარ, პატარავ, გვერდი გამითბე და შენც კათბები, ნუ გეშინია, — ბოხის ხმით უთხრა პატარას ეველასე დიდმა და ფანჯრიდან პალიკოს უცინოდა.

— ქუდი დაკარგე, ქუდი, — უვიროდა მეორე.

პალიკო გაფაციცებით უუურობდა ფიფქების ფუსფუსს და გულით მოუნდა გარედ თოვლში კუნტრუში. გარედან ერთი ცქრილა ფიფქი თითქო დასცინოდა კიდევ პალიკოს და თავისკენ იწვევდა:

— იჰ, მძიძარავ, გამოდი რაღა, თუ ბიჭი ხარ!

— მცვიანა, მცვიანა! — ხითხითებდა მეორე და თან მუჯუგუნით წინ მიიწვევდა...



## 2

დიდი ხანი როდია, რაც ჰალიკო ბებიასთან ერთად სცხოვრობდა, ერთ დიდ სოფელში, გამჭვარტლულ ქოხში, სადაც ქარი სამთრობით ხშირად შეიპარებოდა სოფელს და ჰალიკოს კვერდებზე ხელებს უცაცუნებდა.

ცოტა ხანითარი აჭირებდა საქმეს, თორემ საფხულში არა უჭირდა რა.

ამ შობა საღამოს-კი ცოტა არ იყოს ნაწეენი შეჭხვდა.

— ბებო, გიგლახანი რომ დორსა ჰკლავენ, ჩვენ-კი არ კვინდა?!

— რა უეოთ, შვილო, — ისინი ბევრნიც არიან და მიტომ, — ვითომდა დაამშვიდა ბებია.

ბავშვის გულის-ეური ძაღე დორის ამბავს მოშორდა და ახლა თვალ-წინ შობის სურათები დაესატა. მოაკონდა, რომ უწინდელი შობა უკეთესი იყო და მასთან მხიარული.

— ბებო, მართლა, — მთვარე ბიჭია?!

— ჰო, ბიჭია! ხედ შობა საღამოს\*), დაბინდებას არც-კი დააცლის ქვეყანას, თბილად ჩაიფუფნება, გარს ვარსკვლავებს შემორტყავს ნახირ-ვეხირებად, სოფელ-სოფელ სიარულს დაიწეებს და, ვისაც ეოჩადსა და ბების გამკონე ბიჭსა ნახავს, უსიკვდილოდ საჩუქრებს დაურიგებს. ამ საღამოთი ალბად გამომხნდება ქვეყნად და აბა ვინძლო კარვად მოიქცე და გამახარო.

ასე დაარია ბებია ჰალიკო და სახლში მარტო, დასტოვა.

მართლაც და გასაკვირი იყო ფიფქების ამბავი: ასე მა-

\*) ხალხური თქმულება.

ლაყებით სტუნუა ვინ გაიგონა, ან აძენი ნმაურობა და სი-  
ცილ-ხარხარი რა საკადრისი იყო!

პალიკოს, სწორედ გითხრათ, ჯაჟურიც-კი მოუვიდა. მათმა  
დაცინვამ ხომ თოფის წამაღვიით ააფეთქა.

— მოგორ, თქვენ დამცინით და გარედ მიწვევთ? ნწა,  
შვილონიაჲ, — პალიკოს ალბად არ იცნობთ, — დაიქადნა პა-  
ლიკომ და ფარაჯას ძებნა დაუწყო.

ცოტა არ იეოს, ჰურიც მოძივდა; რაც ბებია წავიდა,  
არ ეჭამა, რადგან კიდობანი ცარეელი იყო, მართალია, ბებია  
მოიტანდა ჰურს, მაგრამ მოცდა არ შეიძლებოდა.

— წავალ; უთუოდ მთვარესაც შევხვდები და იქნებ ერთი  
ხაჭანური მაჭამოს, თორემ ვინ იცის, ჩვენ ქოხს როდის მო-  
აღწევს; იქნებ კიკლიამ ჩვენამდის არც-კი გამოუშვას, რადგან  
ჯაჟური სჭირს ჩემი, რად წამაქციაო.

ამასობაში ქუდიც იპოვა და ფარაჯაც. კომბალიც გაიღო,  
შნარსე და გარედ გაუარდა ფიფქების გამოსაჯაჟრებლად და  
მთვარის შესახვედრად...

ვ. თამროშვილი.







## სიკეთით გადაუსადა.



ვიდა ანანო იხუებს და ბატებს ერთად ამწუვდევდა. მოზრდილ საბატეში ერთ კუთხეში იხუები იუუქებოდნენ და მეორეში — ბატები, საბატეს თავზე ქანდარები ჰქონდა ქათმებისათვის გამართული და განუწვევტლივ მოისმობდა იქიდან დედლების კაკან-კრიახი. გათენებისას ვეება ხმით დაიუვირებდა კრძელ-დეხებიანი ძაძალი, ფრთების ბერტყით გადმოსტებოდა ქანდარიდან და ისეთ ალიაქოთს ასტეხდა, რომ მთელ ოჯახს ფეხზე დააუენებდა. სახლის კარი გაიღებოდა, თაბახით ხელში გადმოდგებოდა ანანო და წვრილფეხობას საკენკს დაუურიდა. აკენკდნენ თუ არა, მაშინვე წეალზე გაიქცეოდნენ და ძაღვ მთელ ეხოს მოედებოდნენ. ჰქექდნენ, ჭიბ-ლუას იჭერდნენ, მხეხე თებოდნენ.

ასე მიძინარეობდა მათი ცხოვრება, რაც ფეხუცა იხვს თავი ახსოვდა, მაინც და მაინც დიდი ხნის-კი არ იყო ფეხუცა: აზრილში გამოიჩეკა, აკვისტომი-კი უბედურება შეეძთხვა: სიძინდით დატვირთულ ურემს ქვეშ მოჭევა და ღვინია სარმა ფეხი დაადვა, მართალია — ცოცხალი დარჩა, მაგრამ თავის ლამაზ წითელ მარცხენა ფეხს გამოეთხოვა. შეიბრა-

ლეს—ზატარაო, და არ დაჭკლეს. ეველასე ძეტი მფარველობას საეუარელად გაუწია. კეთილი გოგონა იყო; სასული „საეუარელა“ მართლაც შეეფერებოდა მის ხასიათს.

„საეუარელა, საეუარელა,“—მისძახოდა ეველა; მასაც ეველა და ეველათფერი უეუარდა.

ზატარა იხვსაც იმან გაუწია მფარველობა:—უექიმა, ფეხი მაგრად შეუკრა, კარში არ უშვებდა, ფალას-ფულასში ახეუვდა. მოამჯობინა, ერთი სიტყვით—მოარჩინა; მაგრამ ფეხი მანაც მოტეხილი დარჩა; ცალ-ფეხა დანტოდა და ვითომ მეორესაც იშველიებდა.

შემოდგომა დადგა. ბევრი ეურმის კუძალი ელანა; სომინდი რომ ეელამდის ეუარათ ეზოში, სასომინდეს წინ. დილიდან საღამომდინ ჭამის ძეტს არას აკეთებდა; კანუქდა, დასრულდა, დალამაზდა.

დაზამთრდა. სხვებთან ერთად ფეხუცამაც დაიწყო კვერცხის დება; ხან სამწუვდევში, ხან სასლის კვერდით დამსობილ საწნახლის ქვეშ დააკვებდა; გაჭქექდა მტვერს ცალის ფეხით, დაჯდებოდა და შიგ ჩასდებდა. სშირად, ეზოში, აქა-იქ დაკუბებულ წელის ეინულსედაც დარჩებოდა; საეუარელა იაოფნიდა და სინარულთ მოარბენინებდა დედასთან.

— აი, დედა!—ჩემი ფეხუცას კვერცხი; ღმერთმანი—იმი-სია; იმის კვერცხებს ვიცნობ.

დედამდის ასე მიდიოდა ფეხუცას სიცოცხლე და ისიც თავის ბედის მადლიერი იყო. ნაცარა მამალ იხვს არ მოსწონდა ფეხუცა: ეჯავრებოდა, დასცინოდა, აშინებდა; ხან დაიძახებდა: „ძელა, ძელა!—თავს უშველეთო!“ ხან ვითომ ქორ-ძერას განახინდა, გულ-განეთქილი ფეხუცა მიბობდი სადმე თავის შესაფარებლად; თუ მოახელებდა, უწვალოდ სცემდა თავში ფართო ნისკარტს.

ახლაც ერთად იყვნენ დამწვედუენი. ვეელას ძველვარება ეტყობოდა; ვეელა თავის საგონებელს მისცემოდა. ფეხუცას ძგრძნობიარე კული ვეელასე მეტს დარღობდა; საცაა გათენდება: — ეს ერთი დღეც თუ დადამდა მშვიდობით, მერე ახალწელიწადი გათენდება, უთუოდ რაღაც სხვანაირი დღე იქნება; ალბად წითლად თუ შეიღებება ქვეყანა, — ან წითლად, ან მწვანედ; ან იქნება ცისარტყელასავით აფერადდეს მთელი ცა და დედამიწა. თორემ რად გაენარდებათ ასე: ვეელა ფუს-ფუსსა და სამსადისძია; საფვარელსაც-კი არ სცალან: იმანაც-კი დაივიწესა ფეხუცა...

უთუოდ რაღაც მოხდება, და ეს რაღაცა ალბად ჩვენი მტერია... საწუალ ღორებს სინსილა გაუწვივტეს: ჯერ დაამწვედეს და იმდენი აჭამეს — კინაღამ მუცლები დაუნეთქეს. კუძინ დილით-კი ვაი უბედურება დაატყენეს თავს: ოთხივე დაჭკლეს, გაფუფქეს. ამ დილით მინაკომ დაწყო ურემსე: ორი ბატი და სამი ინდოურიც თან მიაყოლა; „ქალაქშიო,“ — იმასდნენ და სადღაც წაიყვანეს.

მთელი დღე დაღონებულ-დამფრთხალი დადიოდა წვრილ-ფეხობა: იქნება ჩვენც ისე წაკვასხან და დაკვხოცონო. მართალია, აქამდინ ათასში ერთხელ თუ დაჭკლავდნენ თითო-ოროლას, მაგრამ ასეთი სიმწვავე არ უგრძნიათ დღემდის. დღეს ვეელას დაუფრთხა ძილი, და ჩუძად ჩურჩულებდნენ. ვასშობისას მინაკო დაბრუნდა ქალაქიდან: რაღაც ნავაჭრი მოიტანა, დედას ჩხრიალით ჩაუთვალა ფული.

სახლში ძლიერი ცეცხლი ანთია. — საძირკვლის ძირში ჭუჭრუტანაა. სინათლე გამოდის სახლის კვერდით მოთავსებულ სამწვედუეში. — ფეხუცას ცალი თვალი მიუღვია ჭუჭრუტანასე და ვეელაფერს უეურებს.

— კვიტი, კვიტი, კვიტი, — წასჩურჩულა თეთრ ინვს მა-მაღმა ნაცარამ.

— კვატ, კვატ, კვატ... — უზასუნა თუ რძა ინება.

— ახალი ამბავი იცი? — დაეკითხა თავისებურ ენაზე.

— არა...

— სუუ... — გამოეხმაურა ძველი ბატი...

— დაჩუმიდი, მენ გამოვრეებულა ბებერო, რა შენი საქმეა — ვიტყვი თუ არა, — შეუტია ინება.

— კვატ-კვატ... — დაიუარეს სხვებმა, — გვითხარი, რა მოხდა.

— დღეს უური მოვკარ, დეიღამ უთხრა საყვარელას... ფეხუცაო... — შედგა.

ფეხუცამ რაკი გაიგონა თავის სახელის ხსენება, სული განაბა და დაუგდო უური...

— რაო, რაო? — შეეკითხნენ...

— ინუები ბევრი გაჟიდე წელს, სანაშენო აღარ მჩხება: ფეხუცა მანც არ ვარცა სანაშენოდ, მსუქანი კია და ის დაუკლათ სასახლწლოდო.

— საყვარელამ რა უთხრა ძერე?

— დასტური მისცა: „მეც მომწინდა იმ სამაგლის ამდენი ღოღიაობაო.“

ფეხუცას თითქოს გულის სიმი გაუწედაო. ეელში რაღაც მოებჯინა და თითქოს უნდა დააღწროსო.

— როგორ, ჩემმა ბატონმა და მეგობარმა ნუ თუ ასე გაძწირა, ნუ თუ არ დაუენანე? სამაგელი ნაცარა; რად უნარინ ჩემი დაღუზვა? — გაიფიქრა ფეხუცამ, ცრემლი მოადგა თვალებზე და მიეცა ფიქრს. „საცაბა გათენდება და აქვე ამ კარებთან დამიჭერენ.“ — დანანდა თავი ფეხუცას. დანანდა უდროოდ მოსზობილი სიცოცხლე...

— დასწეველოს ღმერთმა ის რაღაცა ახალწელიწადია... რა უთხრა იმათ, ვინც ჩვენი სორცის ჭამა მოიგონა... — არა,

თავს უნდა ვუძველო: ესე როგორ უნდა მოვკვდე;—უძველოს ღმერთმა ნაცარას: დროზე გამაგებინა. კარებთან ახლოს მივიუჩები; როგორც-კი გააღებენ, ვეცემა კარს და თავს ვუძველი. ერთი თუ მივიძალე, მერე გავიქცევი. დღეც ხომ ახლოა. დღემდის თუ მივასწარი, მერე მშვიდობით—ვეღარ მიზოვნინა.

საბრალლო ფეხუცა — გმირად გადაიქცა; წელში გასწორდა. მტკივანი ფეხი მაგრად დაადგა მიწასე, ხელ-ხელა გაიწია და კარებთან მიიუჩა.

ინათა. ქვეყანას ნაცრის ფერი ბურუსი შემოეხვია. ქათმები კრიახით გადმოფრინდნენ. ბატებმა ვიჟ-ვიჟი ასტეხეს. ფეხუცას ძალზე უცემს გული: ძარღვები ეჭიმება; კარის ჭრილიც გაიგონა: დეიდა მოდის. საეუბრელაც თან მოსდევს; „ახლად უკანასკნელად უნდა ამიუვანოს ხელში, უკანასკნელად უნდა მაკოცოს თვალებში არა, გეთაუვა, ახლა აღარ ვენდობი შენ ალერსს. კარგი არაფერი გდომებია ჩემთვის.“ ფიქრობს ფეხუცა.

თავ-შესვეული ანანო რომ დაინახეს ასტეხეს ალიაქოთი: ბატები ვიუინებენ; მამალი ბატი სულ გაჭკივის; ინუებიც ვიურიან; უურთა სმენა აღარ არის. ხელა გაიღო საბატის კარი.

— ფრრრ! — დაიფრთხილა ფეხუცამ და სახეში ეცა დეიდას; ის განზე გადინარა და კმა მისცა. ფეხუცა თავ-დავიწყებით გაჭქანდა, თონის გვერდით მიწობილ ცოცხებს ეცა და დროებით იქ შეაფარა თავი; ასე ეგონა — ქვეყანა უკან მომდევსო: — მთელის ტანით ცანცანებდა, გაუბედავად აჭუეტდა თვალებს, მისჩერებოდა საბატეს — რა ხდება იქაო. დიდხანს არ დასჭირდა ლოდინი, უვირილ-ყარყარით გამოიძალა ბატინი; დეიდა დაინარა, დასწვდა ძირს და მამალ ნაცარას-კი წაავლო ხელი. ნაცარამ შეჭკივლა და ღონივრად შეფრთხილდა.

— აი, შე ალქაჯო! ამომიწვევითე ისევები და წიწილები; ახლა შენი ჯერი მოვიდა, — უთხრა დეიდამ და წასცხო თავში.

— საწყალ ჩემ ფეხუცას სულ ერთავად სცემდა თავ-პირში, — დაურთო სიტუვა საეგარეკლამ.

— მოიტა, შვილო, ის ძარი, დავამწვედით შიგ, სანამ წყალს გავაცხელებდე.

საეგარეკლამ ძარი მოარბენინა, დანახეს თავ-დაღმა და შეაგდეს შიგ ნაცარა...

— ჰაი და ჰააა... თურმე რაში უოფილა საქმე! — წამოიძახა ფეხუცამ. — საცოდავო, მე რადან მისეთქდი გულს? თუ რაზე იცოდო, შენს თავს უშველიდი, — ნელა გამოძვრა ცოცხებიდან, ძარს მიუახლოვდა, აუარ-ჩაუარა.

— რას დაბლამუნობ გარბემო, თუ გიხარინ ჩემი ეს დღე? — გამოისძახა ნაცარამ.

— ძმობილო რათა ხარ ბოროტი... სწორედ შენ გინდოდა შენი დღე მე დამდგომოდა... ხედავ — ღმერთს სამართალი ჰქონია... უკანასკნელ წუთებშიაც-კი შხამი ამოგდის პირიდან, — დინჯად მიუგო ფეხუცამ. მაგრამ მე მანც მეცოდები... ძალიან გენახება თავი?

— შენი შესაცოდებელი არა მაქვს რა, — უკმეხად შესძახა ნაცარამ...

— ამაყი ნუ ხარ... სიამაყე დაგაბრძავებს და დაგლუპავს... გინდა გიშველო? ჯერ ადრეა: წებლი ცხელი არა ჰქონიათ.

— მიშველო, თორემ ერთბაშად არ გადააბრუნო ძარი — დაცინვით მიუგო ნაცარამ...

— ვეცდები, და ღმერთიც მშველელია... რაც გითხრა — გაშიგონე...

ამ დროს დეიდამ სიძინდით სავსე თაბახი გამოიტანა და გადაუყარა ფრინველებს... ფეხუცაც იქ გაჩნდა, რამდენიმე მა-

რცვალს დაავლო ნისკარტი, ძართან მიარბენინა და წამოყარა ჰირიდან.


— ნისკარტი არ გამოჭყო და არ შეჭამო... გიძველი ამით, წასწერხულა და ისევ გაიქცა. რამდენჯერმე მიბაჯბაჯდა ასე და ორმოციოდე მარცვალი შემოაყარა ძარს. დანარჩენებმა აკენკეს საკენკი და თავიანთ კისას გაუდგნენ... ფესუცა დადგა და იუურება აქეთ-იქით... ვნახოთ, გოჭებინა დედა ღორი გამოდის ბუნაგიდან, მიიარ-მოიარა ესოში, ძარს ახლოს გაუარა, სიძინდი შეაძინა, მიუახლოვდა, მიუსვ-მოსვა თავისი დინგი, ხელად შესანსლა. გულ-მოსულმა ჰკრა ტუხი ძარს და გადააბრუნა. ნაცარა კანთავისუფლდა...

— გამოძეე!.. — უთხრა ფესუცამ და გაჭკურცხლა ღელისაკენ. ორივე მტერ-მოუვარემ მოუსვენს, ღობეში გაძვრნენ და ტყაპანით ჩაცვივდნენ წყალში.

დეიდა ანანომ წყალი გააცხელა, ძართან მივიდა და მუხლები გამოითქვიფა ხელების ცემით ..

ნაცარა და ფესუცა ამ დროს ღელეში დასცურავდნენ ეელი-ეელ გადაჭდობილნი...

მ. ვარიყული.





# შ ა რ ა ლ ე ზ ი.

(წარმოდგენილი პ. ნიორაძისაგან).

## I

ევბუილი და რაბე მწერი  
უხმო ასოთი შეჭკარით,  
ითას მიიღებთ—მაღაღია;  
ზედ ასულას-კი ნუ შეჭხარით.

## II

ზი რეელი მიწაში ცხოვრობს,  
ნაწვიმარსე ამომურება,  
მეორე—ლაძას ნადირის  
შვილია, დედას ეგურება;  
მის სახელს „კ“ გამოუაკლოთ  
და ერთად გაიგონება,  
როგორც საურავი; მიხუდები  
აამუშავე გონება.










# გ ა მ ო ი ც ა ნ ი თ!

(წარმოდგენილი მიხ. ბოჭორიშვილის-მიერ).

არის სიტუვა ხუთი ასოთი შედგარნი, ნიშნავს ჩუენი სხდ-  
გომის სახელს. თუ მეორე ასოს გამოუცვლით, — იქნება სახელი  
ერთი სიტუვით გამოთქმული „დედ-მამისა თავის შვილებით.“  
გამოსცვალეთ ზირველი და მეოთხე ასო — შეიქნება სახელი  
ათჯერ ასისა; ამ სიტუვას მოაკელით ზირველი ასო — გამოვა  
სახელი ჭურჭელისა; ამ სიტუვასაც მოაშორეთ ზირველი ასო  
და დაგრჩებათ გამოანგარიშებული ათჯერ ათი.

# კ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი ალ. გოვიას-მიერ).



3

მ გ  
ე ბ



პირველი  
პირის არ-  
სებობა  
წარსულში

მ  
ე



მ



# შინაარსი

## 1912 წლის უხრნალ „ნაკადულისა“.

ლ ე ქ ს ე ბ ი:

### გ. ქუჩიშვილი

ახალი წელი . . . . .	ობ. № 1
ყრმას . . . . .	„ № 11
ბუნებისაკენ . . . . .	„ № 15

### ა. გოგია

კიკა . . . . .	„ № 2
----------------	-------

### მიმქრალი

გამოიცანი . . . . .	„ № 3
გულ-კეთილი დარო . . . . .	„ № 12

### კიკნა-ფშაველა

ქვირვის ლელა . . . . .	„ № 3
------------------------	-------

### შ. მღვიმელი

ბუ . . . . .	„ № 4
მსუნაგი . . . . .	„ № 5
მერცხალი . . . . .	„ № 6
თინა . . . . .	„ № 9
ბაქია . . . . .	„ № 21
თაგუნა . . . . .	„ № 22
დედის სიყვარული . . . . .	„ № 24

### ირ. ევლოშვილი

მურია, მელა და ბებია . . . . .	„ № 7
„ (დასასრული) . . . . .	„ № 18
მერცხალი . . . . .	„ № 17
მტირალა გიშერა . . . . .	„ № 18
ბელურას ცრემლები . . . . .	„ № 19



**მ. უზნაძე**

გაზაფხული . . . . . იხ. № 8

**ი. მჭედლიშვილი**

კვლავ გაზაფხული . . . . . ” № 10

**ა. შანშიაშვილი.**

ქირევეული შაშვის ბახალა . . . . . ” № 12

იხვი, მელია და მამალი . . . . . ” № 21

**ნ. ზომლეთელი**

ნაკადული. . . . . ” № 13

**ი. გრიშაშვილი**

ქეთო სააგარაკოდ . . . . . ” № 14

**ნ. ჩხიკვაძე**

მესტვირული . . . . . ” № 15

**ი. სიხარულიძე**

სიმინდის ყანა . . . . . ” № 16

კოლას მამითადი . . . . . ” № 20

თოვლი... თოვლი... . . . . . ” № 24

**ვაჟა-ფშაველა.**

ჩიტო-ჩიორა. . . . . ” № 23

**ბ. ახოსპირელი.**

თამრო . . . . . ” № 23

მ ო თ ს რ ო ბ ე ბ ი :

**დ. ვედრებისელი**

კობტას დლიური . . . . . იხ. № 1

” (შემდეგი) . . . . . ” № 2

” (დასასრული). . . . . ” № 3

საადღგომო საჩუქარი . . . . . ” № 10

**ლევ იმნაძე**

კეთილი მტერი . . . . . ” № 1

ანგარიშის გაკვეთილზე . . . . .	იხ. № 7
გულკეთილი შუშანიკა . . . . .	„ № 15
ფელამუში . . . . .	„ № 20

**ივ. ელიაშვილი.**

შელის ნუკრი . . . . .	„ № 1
მერცხლის ჭიკჭიკი . . . . .	„ № 14
ჩვენი დიდყურა მეგობრები . . . . .	„ № 18

**თეოდ. კანდელაკი**

კეთილი გოლიათი (გადმოკეთ.) . . . . .	„ № 2
„ (დასასრული) . . . . .	„ № 3
ძალდი—მათხოვარი (თარგმ.) . . . . .	„ № 11

**ი. ზედოზნელი.**

კურკა (თარგმ. ლ. ტოლსტოიდან) . . . . .	„ № 2
ბავშვი და ძალდი (ტოლსტოიდან) . . . . .	„ № 21

**მარიამ გარიყული.**

ძიამ გაახარა . . . . .	„ № 3
არ ელოდნენ . . . . .	„ № 11
ანოს წერილი . . . . .	„ № 13
მამაცი ბავშვი (საშობაო) . . . . .	„ № 24

**დ. ყიფიანი**

ფუჭი კაკალი (ვაგნერიდან) . . . . .	„ № 3
ზღვის ძაღლის ჩანთა (ვაგნერიდან) . . . . .	„ № 20

**პ. ლ--ძე**

კამფეტების ფულით . . . . .	„ № 4
„ (შემდეგი) . . . . .	„ № 5
„ (დასასრული) . . . . .	„ № 6

**მ. დადიანი**

ჭკვიანი ლორდი (თარგმ.) . . . . .	„ № 4
----------------------------------	-------

**გ. ანთელიძე**

როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისგან (გადმოკ.) . . . . .	„ № 4
„ (შემდეგი) . . . . .	„ № 5
„ (შემდეგი) . . . . .	„ № 6



ზოგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისგან (გადმოკ.)	იხ. № 7
„ (შემდეგი)	„ № 8
„ (შემდეგი)	„ № 9
„ (შემდეგი)	„ № 10

**გიორგი ჯაბადარი**

პატარა გმირი (ფრანგულით)	№ 5
--------------------------	-----

**ნინო ავალიანი**

სტუმრად ბუსთან (თარგმ.)	„ № 5
„ (დასასრული)	„ № 6

**ქ.**

შავი ბატკანი (საადგომო).	„ № 6
--------------------------	-------

**ზიზია გოგი**

ჩიტუნების სასადილო.	„ № 7
საწყალი ვანო	„ № 23

**მ. კლიშიაშვილი**

დედის სიყვარული (თარგმ.)	„ № 7
მელიას ოსტატობა (თარგმ.)	„ № 9

**ლევო ქიაჩელი**

ძალღი და კატა	„ № 8
---------------	-------

**ვ. პ.**

ბუზი (ფრანგულით)	„ № 8
------------------	-------

**ირ. ევდოშვილი**

— მარიკოს მერცხალი	„ № 9
— გოგის დოლი	„ № 12
— უი ჯარავ, ჯარაო?	„ № 16
„ (დასასრული)	„ № 17
— საწყალი ბიჭიკო	„ № 21
— ბებნას მელია	„ № 23
„ (დასასრული)	„ № 24

**მარიამ იაშვილი**

— მოხნი ერთ ოჯახიდან (თარგმ.)	„ № 9
„ (შემდეგი)	„ № 10



ოთხნი ერთ ოჯახიდან (თარგმ.) . . . . .	იხ. № 11
„ (დასასრული) . . . . .	„ № 12
ნისლი (თარგმ. ევალდიდან) . . . . .	„ № 21

**ლადო ბზვანელი**

ფარშევანგი, ყვავი და არწივი (თარგმ.) . . . . .	„ № 10
--	--------

**დ. კარბელაშვილი**

ბატონ სევენის ციკანი (ფრანგ. დოდესი) . . . . .	„ № 12
--	--------

**ნარეგი**

უდიდესი სახლი ქვეყანაზე . . . . .	„ № 12
ძროხა და ქილყავი . . . . .	„ № 13

**იასე რაჭველი**

უდედოდ (რუსულიდ. გადმოკეთ) . . . . .	„ № 13
--------------------------------------	--------

**ვ. თამროშვილი**

ოლიკოს წვეულება . . . . .	„ № 14
ჰაერში მფრინავნი . . . . .	„ № 20

**გიგლა გარსიაშვილი**

პატარა ექიმი (თარგმ) . . . . .	„ № 14
--------------------------------	--------

**ი. ანთაძე**

ტყემ შური იძია (თარგმ.) . . . . .	„ № 15
„ (დასასრული) . . . . .	„ № 16

**ეკ. ლორთქიფანიძე**

ქიანქველები . . . . .	„ № 15
კარტოფილი . . . . .	„ № 16

**იტა ნაკაშიძე**

სირაქლემას ნამბობი (თარგმ.) . . . . .	„ № 17
---------------------------------------	--------

**ნინო გოგენიაშვილი**

ჩვენი ნაპერწკალი . . . . .	„ № 18
ვერ დაიძინა . . . . .	„ № 19
ხორბლის ნამბობი . . . . .	„ № 22

**ნ. გასპარიანი.**

რატომ? (სომხურიდან) . . . . .	„ № 19
-------------------------------	--------



**დ ვ კილოსანიძე**

ნაწნავი . . . . . " № 22

**ივ. როსტომაშვილი**

კურდღლის ბაჟია და ციყვენია (თარგმ.). . . . . " № 24

**ნ ე კ რ ი ლ ო გ ე ბ ი :**

**ვ. თამროშვილი.**

ბავშვების მეგობარი, იაკობ გოგებაშვილი . . . . . " № 11

**მ. უსიკაძე**

**ზ. ფალიაშვილი**

ორი სიმღერა . . . . . " № 24

**ი გ ბ უ - ხ რ ბ კ ე ბ ი :**

**ალ. მირიანაშვილი**

- ცხენი და ღორი . . . . . " № 1
- ორი მონადირე . . . . . " № 6
- გველის წიწილები . . . . . " № 10
- სოფლელი . . . . . " № 13
- ვაზი და ტირიფი . . . . . " № 15
- ბელურა . . . . . " № 16
- თევზი და ვარია . . . . . " № 18
- დათვის ბელები . . . . . " № 19
- აქლემი . . . . . " № 21

**ნინო ნაკაშიძე**

ახლა-კი მივხვდი (თარგმ. ლესინგიდან) . . . . . " № 3

**ა. შანშიაშვილი**

- ირემი (ეზოპიდან, გერმანულით) . . . . . " № 4
- გლეხი და სიკვდილი (თავისუფ თარგმ. ეზოპიდან). . . . . " № 9

მეხრე (ეზოპიდან) . . . . . ობ. № 11  
ტახი და მელია (თავისუფ თარგმ. ეზოპისა, გერმ.). . . . . „ № 14

**ო. ჭრელაშვილი.**

იგავი (თარგმ.). . . . . „ № 22

**ყ დ ა ზ რ ე ბ ი:**

**კ. დარაშვილი**

ამირანი (ხალხური) . . . . . „ № 4

**ი. ჭრელაშვილი**

მათხოვარა და თევზთა მეფე (თარგმ.) . . . . . „ № 14

**ა. შანშიაშვილი**

ცერო (ხალხური ზღაპარი ლექსად) . . . . . „ № 16  
„ (დასასრული) . . . . . „ № 17

**ნინო ნაკაშიძე**

ნამცეცა (თარგმ. ანდერსენიდან) . . . . . „ № 18  
„ (შემდეგი) . . . . . „ № 19  
„ (დასასრული) . . . . . „ № 20

**ს ა ბ ა ვ შ ე ლ ზ ი ე ს ე ბ ი:**

**ელ. ანტონოვსკისა**


თოვლის კაცი (1-მოქმ. თარგმ.) . . . . . „ № 2

**ან. ახალშენიშვილი**

წითელი ყვავილი (3-მოქმ კომედია, გადმოკ. კლავ.  
ლუკაშევიჩიდან) . . . . . „ № 22  
„ (დასასრული). . . . . „ № 23

**ყოველ ნომერში**

მოთავსებულია გასართობი: რებუსი, შარადა, ანდაზა-გამოცა-  
ნა და სხვ.





# გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

## „ხ მ ა პ ა ხ ე თ ი ს ა“ - სე

წელიწადი მეორე

1913 წელს ჯერ-ჯერობით გაზეთი გამოვა კვირაში **ო.რ.ჯ.მ.რ.**,  
ხუთშაბათობით და კვირაობით

### გაზეთის ფასი:

ფოსტით გაგზავნა.	სიღნაღში და სოფლებში.
ერთი წლით . . . 3 მ. 50 კ.	ერთი წლით . . . 2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით. 1 „ 80 „	ნახევარი წლით. . 1 „ 30 „
ერთი თვით . . . — 40 „	ერთი თვით . . . — 25 „

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ. 1)

გაზეთის დასაკვეთი ფასი და სხვა ანგარიშები უსათუოდ ამ მისამართით  
უნდა გამოიგზავნოს: **Г. Сигнахъ К. I. Ткавадзе.**



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველ თვიურ შურნალ

# „გ ა ნ თ ი ა ლ“ - ზე

(წელიწადი პირველი)

და ყოველკვირულ გაზეთ

# „შინაურ საქმეებ“ - ზე

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მან., გაზეთისა 4 მან., ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურად 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

ამ წლის ათ დეკემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

## მ ე რ ც ხ ა ლ ი

გაზეთი წლიურად ღირს 7 მან. ნახევარის წლით—4 მან. სპი თვით—2 მ. 50 კ. თვიურად ქუთაისში—4 აბაზი. ქუთაისის გარედ—90 კ. სასაღვარ გარედ 14 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ჰეტიტის სტრიქონი—სპი შაური, უკანასკნელზე—თრი შაური, თვიურ. და წლიურ. მორიგებით, სამკვლელო განცხადების დაბეჭდვა ერთხელ—სპი მან. ნ. შუადღევის სპი სსათის შემდეგ 4 მან.

რედაქტორ გამომცემელი—პ. ბაბუნაშვილი.

ფულის გამოხაგზავნი მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქ. რაჟდენ დიმიტრის ძე მიქაძეს.

რედაქციის მისამართი: პუშკინის ქ. სახლი ჭვიშვილისა, № 12. ხელის მოწერა ი ბილისში მიიღება ბ. ბუაძესთან, დიდუბე, ბათუმის ქუჩა № 2. და ერევნის მოედანზე ბ. ვასო კუციავასთან შპალიერის მალაზიაში.

# 1913 წ. მიიღება ხელის მოწერა



დასურბათებულ საემაწვილო ჟურნალს

## „ნაკადულს“ - ზე

◀ წელიწადი მთებში ▶

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არ-  
ჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით; მონაწილე-  
ობას ლებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურად ხელის მომწერლებს მიეცემა:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ **12** წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

1913 წელს წლიური ხელის მომწერნი ორივე გამოცემისა ხა-  
ჩუქრად მიიღებენ ამერიკელ მწერალ ქალის ჰარიეტ ბიჩერ  
სტოუს რომანს ზანგთა ვანთავისუფლების დროიდან, „ბი-  
ძია თომას ქოხი“-ს სრულ თარგმანს. წიგნში იქნება 80-ზე  
მეტე სურათი და ჩართული იქნება ავტორის სურათი და  
ბიოგრაფია.

თარგმანის რედაქცია და ინგლისურ დედანთან შედარება იკი-  
სრა ილია ნაკაშიძემ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მ. ნა-  
ხევარ წლით—3 მან., ცალკე-ცალკე მცირე წლოვანთათვის  
**24** წიგნი—3 მან., მოზრდილთათვის **12** წიგნი—3 მან.  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

### ხელის მოწერა შეიძლება

ტფილისში—„ნაკადულის“ რედაქციაში, ზუსადაშვილის სახ.,  
გაღვიწი. ზრ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский  
пр., № 8, და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასა-  
ხლის ქუჩა. ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძესთან, შ. უახსნიშვი-  
ლთან და თ. შთავრიშვილთან. სამტრედიისში—ივანე გვადამე-  
თან და ვლ. ნაცვადიძესთან. ფოთში—თეოდოზე კანდელაკთან.  
ბათუმში—კნ. ს. თეო ნაკაშიძესთან, ტრაფიშ ინასანიძესთან და  
ანასტასია ღომინაძესთან. ოზურგეთში და ლანჩხუთში—ფეო იმ-  
ნაძესთან. თელავში—ვახო შახაძესთან. ახალ-ციხეში—კონ-  
სტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—ვასილ ახუჯედიანთან, ნინო  
გვამედიანთან და ივანე ეფიამედიანთან. გორში—ნინო ღომეშვილთან  
და ქეთევან ჭავჭავაძესთან. სოხუმში—კნ. შარაშ ანასაძესთან.  
ქიათურაში—ივანე გამეჯაურთან. ვანჯაში—ბ. ამბოქაძესთან.  
ერევანში—კ. ღდიშარაძესთან. სიღნაღში—ნ. ანბეკეაშვილთან.  
ყარსში—ივ. საათაშვილთან. აღექსანდროპოლში—ს. შატუ-  
რაშვილთან. როსტოვში—შ. კლიშიაშვილთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი ივანე კანდელაკი იოსების ძე თუშანიშვილი.